ეტყობა, მთლად ჩემი გემოვნებაც არა წყვეტს ნობელის პრემიის დარიგებას და რაღაც სხვა მოტივებიცა იქ ჩართული!

ეტყობა, მთლად ჩემი გემოვნებაც არა წყვეტს ნობელის პრემიის დარიგებას და რაღაც სხვა მოტივებიცა იქ ჩ

თახტი

არ მყავს მოცილე,
ვიცი, ნაღდია,
ეს ტახტი მხოლოდ
ჩემი ტახტია.

ღუმელთან ახლოს დგას მოჭრიალე,
უბრალო ხისგან გამოჩორებილი,
სადაც ჭვარტლი და კვამლი ტრიალებს,
მორჯმით ზის თქვენი მონა-მორჩილი.

ეს არის სულ მე რაც მაბადია —
სამეფოს ჭიპი, და ვინ დამიშლის,
ნებაზე ვმართო — ჩემი ტახტია
მუთაქებით და ჭრელი ბალიშით.

ჩემს დაძახილზე ურიცხვ უნაგირს
არ მოახტება მხედართა წყება.
არ ჰაჯილდოებ ხალხის პოეტებს,
სადაც ჰარემის მამალი წვება.

პროტესტის ცეცხლი რომ არ მოედოს —
მეაბოხებს თავი რომ შერჩეთ.
არ ვაჯილდოებ ხალხის პოეტებს,
არც ვეცერები აბეზარ ერმებს,

და მაინც, მაინც,
ტახტი ტახტია,
თუ ერთგულია, თუკი ნაღდია,

მხნე და მორჩილი არც ის დაეძებს
მდიდარ მონარქს თუ პირქუშ მბრძანებელს.

თუმც გვერდებს ლამით უხრავს თაგუნა,
არ წუხს იღბალმა მე რომ მარგუნა.

ერთგულ სამსახურს არ დამაყვედრის,
მასაც ჩემსავით დრო და ხანი ჭამს
და მაინც ემაყოფილია ხვედრის —
არ ვუფენ სისხლის წითელ ხალიჩას.

ფურგალმა ისე მოახარატა,
რომ ვერ აცდუნოს სიტყვა დალატმა.

მამშვიდებს, როცა ზურგს მაქცევს მუზა,
როცა ამსხვრევენ მთვარის მინანქარს.
საიდუმლო სკივრს ხელს გადაუსვამს
და გაუმხელელ ფიქრებს ინახავს.

სხივებს უგზავნის მზე გადახრილი
და ამ სითბოთი კურნავს ნაწოლებს,
სულ მიერთგულებს, ვიდრე დალილი
უკანასკნელად მხრებს დავაზომებ.

გვინდა თუ არა, წლები ჩეარობენ,
სიცოცხლის ბალას უამი მიცელავს.
აპა, ეს ლექსიც მან მინყალობა,
ამ ტახტზე შენთვის რომ დაინერა.

კავკასიონი

ახლა ხევებში შეყვარებული
ლურჯი ნისლები წვებიან.
უფსკრულზე ჯიხვის ელვა-ნახტომი
რამდენჯერ დამსიზმრებია.

ღმერთმა მოჰკითხოს,
ვინც დაგვაშორა —
მთები ცერებზე დგებიან,
მონატრებული ის მწვერვალები
ჩემი ჭალარა ძმებია.

გასხვოსნდება მადლით ხარება —
რეკენ და რეკენ ცისკრის ზარები.
გაბრუებული იღბლის ქარებით
ვერც მე მოვიშლი გზებზე ხეტიალს.
ვით შემოგფიცო,
სულ მეყვარები,
როცა ეს გრძნობა უფრო მეტია.

რამდენ ოცნებას ამსხვრევდა მეხი,
ელვა, რიყეზე გაერულ ნალების.
მანიც ხომ იცი, ძიღმიაც მტეხენ
შენი ღვთიური ნალურსმალები.

ვერაფერს გეტყვი მომავალზე
და ვერც ნარსულზე,
დღევანდელზე ხომ — მითუმეტეს,
თვითონაც ხედავ...

ვანო ჩხიკვაძე



მოდი, ჩამოვსხდეთ მდინარესთან,
ხიდის ყურის მათხოვერებივთ,
და გავისხენოთ უძველეს დროში,
პოეტის ლექსში,
მეოცნებე შეყვარებული,
ძინაში საგე მთვარეს როგორ გადაეხვია...

მას შემდეგ ისე განიავდა ათასი წელი,
რომ ატყორცილმა წყლის შეეფებმა
უკან დაბრუნება ვერც კი მოასრეს...

ნეტავ ჩვენც ხომ არ გვეცადა ბედი —
აგე მთვარე და აგე მდინარე —
ადრე თუ გვიან მაინც იტყვის წყეულ სიმართლეს,
ჩემი სიცოცხლის შავი ყუთი, —
ბოლო სონეტი,
რომელიც ჯერ არ დამინერია.

მოდი, ჩამოვსხდეთ მდინარესთან...

დირექტორი

გველი სავარძელში.
გესლი ენიდან და
გესლი თვალებიდან.
გნდერული თანასწორობის
პროეტის ნაყოფი,
გარედან ქალი,
შიგნიდან ჭრელია
და კაბინეტი ხანატრი ხვრელია.

გველი გველია —
თავებს იწონებენ
გარს შემოსხედარი სქელგავა პითონები...
სავარძლის წითელ ხაოზე
ზანტად იზმორება
მათი მფარველი,
რომელმაც იცის
დღრო და დრო მუზეუმის ცოცხალ ექსპონატებს,
როგორც ვოლიერის სტაჟიან მხეცებს
კურდღლებივთ თუ არ შეუძახა,
არ დაინდობენ...

გველი სავარძელზე,
უმადური, ციცისისხლიანი,
მთვლემარეც ფხიზლობს,
ძიღმით თავისი
გესლი რომ არ გადაეყლაპოს.

ნავიდა ომი.
კედელს ჭრილობები დაუტოვა —
ნაბზარებსა და ნატყვიარებში
ახლა ბელურები ცხოვრობენ.

ნავიდა ომი.
როგორც ჩიტებმა,
ნაღმის ნამსხვრევებით
დაკბეჩილ სხეულში
ჩვენც ჩავიბუდეთ...

ფარებიდან ნასული მტაცებელი
ვიცი, ერთხელაც შემობრუნდება,
ჩვენ და ბელურებს,
ბუდებიდან ამოგვსხამს და,
ონავარი ბიჭივით
უბით ნაგვიყვანს.

ნავიდა ომი!
ვითოომ ნავიდა?

ვაკის პარკშიც ცხელა,
მუშტაიდშიც ცხელა,
ჰაიდ პარკშიც ცხელა და
საპარაშიც ცხელა.

ეკრანზე კი ნებივრობს
ლამაზმანი, ქერა.

დამის ნელსაცხებელი,
პენუარი. პუფი.
ორი ნახევარსფერო —
დაბნეული ტყუპი.

მეცხრე ავენიუზეც და
ბალახვანის ჩიხშიც,
ერთნაირად დასჩემდა
ადამიანს შიში.

აქაც, იქაც ჰალსტუხი,
ერთნაირად უჭერო,
ყველგან მთვარი არის
გამოიძლონ კუჭი...

მეექცე დღის მცდელობა,
სულ გამოდგა ფუჭი,
რა ვთქვა,
ადამიანს და
უფალსაც რომ უჭირს...

უხსოვარ ხნის ბებერი
გვზერავს მთვარის ლუპით.
ორი ნახევარსფერო —
დაბნეული ტყუპი...

კამამა წყლის აუზი.
ბრასით გადასერა,
მე რომ იღბალი მქონდეს,
ეს შიშველი ქერა...

მუშტაიდშიც ცხელა და,
ჰაიდ პარკშიც ცხელა...

გაკედონელი

გარეშეს, შინაურს, უმადურ ნათესავებს,
ხელები უჩვენე ალექსანდრე!

ჰო, ეგრე, ალალად გახსენი მუჭი,
თან რომ არაფერი არ მიგაქვს ბლუჯით.

ნახოს მტერ-მოყვარემ,
ნახონ მეგობრებმა,
რაღაცას მალავსო, თორემ ეგონებათ.

მსოფლიო ფეხევეშ ამოიდე,
სიკვდილის გული კი ვერ მოიგე.

სუყველას — უიღბლოს, იღბლიანებს,
ნაიყვანის, მზაცვრებს და ნიღბიანებს.
„სიკვდილი არასდროს იგვიანებს!“ —
გალიის ლომებმა იღრიალეს.

გეგონა სულ ასე იქროლებდი —
ვაი რომ ყველაფერი უცებ არი.
ყველაზე ალალად გაგლოვებდა,
საფლას ფლოქს დასცემდა ბუცეფალი...

ვიდრე გზას გაჰკვალავ ჰადესამდე,
ხელები გაშალე, ალექსანდრე!

რთხოებულათიანი

პიკეტი.
გზები გადაგვიკეტეს.
დასჯილი ბავშვივით სლუკუნებს სიკეთე.

მოელს სიმღერები მხნე და ნაღვლიანი.
დარბის ატომატით ყველა დარეხვილი.
შევარდა ფარებში თობმოცდაათანი,
ნლები მშიერი და კბილებალესილეს.

როგორ დაემგვანენ ყაშაშა სვავებს —
თუ ღვინონ არა აქვთ
ცხელ სისხლსა სვამენ.

ტყვიით და დანით ირჩევა სამართალი.
რაც გულში ბოლგა აქვთ,
ის შებლზე ანერიათ.
ყველა შემლილია, ყველა ავად არის,
ხერებას საქართველოს გადახსნილ არტერიას.

ამაყმა ულაყმა აღვირი წაგვართვა,
უფსკრულში ჩაქანდა ციცაბო დაღმართით.

დიდმა სალოცავმა ბევრჯერ დაიკვნესა,
დღემდე ვერ იშუშებს მძიმე ნაიარევს.
როგორც მარბიელმა, ეგრე აგვიელეს და
ბოლოს უსახელოდ გაქრნენ, გადიარეს...

ხრჩოლას თავახდილი შუშა ნიშადურის —
უამი ცრუ გმირების — ოთხმოცდაათანი.

სადღაც სამრეკლოზე, ვიდრე იმარხულებს,
ზარებს ჩამორეკავს ვიღაც მადლიანი.

ნიკალა

ნეგატივს ფოტოგრაფი წყალში ალივლივებს,
მულავნდება ჯგუფური სურათი, ფაქსიმილე.

რამდენი თავადი,
რამდენი ლოპანა,
ქალი ლამაზმანი, ჩიხტიკოპიანი.

რამდენ პატიოსანს ან რამდენ ჩალიჩას,
იტევდა ქალაქი,
ჭრელ-ჭრულა ხალიჩა.

ანგალი ანგლობდა, ბარიგა ბარიგობდა,
მევახშე ფურცლავდა ვალების დავთარს.
ცხოვრობდა იმედოთ მდიდარი ლარიბობა,
თუ იყო საფქვავი, წისქვილი ფქვავდა.

და მხოლოდ ის ერთი,
დიდი მარტოსული,
უილბლო ილბლიანი, კენტად ამოსული.

ციური მუზების თანამენახე,
ვერც შეიფერეს და ვეღარც შეინახეს.

დუქნებს გენიოსის დარჩათ ავტოგრაფი,
თავად — კიბის ძირში
ცოცხლად, სარკოფაგი.

სულში უყვაოდა ვარდი ასიოდე,
ინვა, კიბის მტვერი თავზე აცვიოდა.

ვინ იყო გამკითხავი, სციოდა, შიოდა,
ზოგი ადიოდა,
ზოგი ჩადიოდა.

მოკვდა, აისრულა რაც კი დაიქადნა,
ინვა ულიმილო,
მეტყველი მუნჯი.
არყაინ ჭიქაში თვრებოდა ქინქლა და
პალიტრას კოცნიდა შემხმარი ფუნჯი...

ვიდრე მოგონების კიბეს ჩავივლიდე,
ხსოვნა — ფოტოგრაფი ნეგატივს ალივლივებს.

ჩემი მასპინძელი,
კიბის სამოთხედან,
ველი, ნუკრის თვალით როდის გამომხედავს.

ეზო იტალიური,
აივანი ფრთასავით.
სოსისი და პიურე —
მიდის ლუდის ბაზარი.

ორნახადი არაყი
საფეტქლებს შეახურებს.
ტუჩებს ელამუნება
თეთრი გოგოს საყურე.

მიდის ლამე.
თავზემოთ
სავსე მთვარე ხატია,
მთვარეცა და საყურეც
ყალბი ბრილიანტია.

შფოთავენ და ბორგავენ:
— ხალხო, რა დროს ძილია,
რომ გაცოცხლდეს, მეორედ,
გავირიავდით ილია!

ეკრანიდან ცვედანი
გვმოძლვრაგს ტელე-ჰუჭია —
ღამის ეზოს ალვიძებს
მთვრალის „სანტალუჩია“.

ეზო იტალიური,
კუბიზმი და გოთიკა,
უსმენს პატრიოტების
უკანასკნელ მოჰიკანს.

უბედობის საწყისი
დროა დავათარილო —
რაღაც სუ არ ხდება,
რაღაც ასე არ იყო!

აიშალნენ, ეს ღამეც
იყო, არა იყო რა...
ქვაფენილზე თუნუქის
„კილკის“ ყუთი მიგორავს...

თვალს დავხუჭავ.
წვიმა ხელს ჩამკიდებს და შენთან მომიყვანს.
აქ ისე არ ხმაურობს.
კარამიტზე გადარბიან ციცქანა ჯამბაზები.
ქარი გადასწევს წვიმის ფარდას,
მაგრამ მანც რას დავინახავ,
წვიმას წვიმა ენაცვლება — გრილდება ჰაერი,
ხასხასდება მინდორი.
სიცხით მოყინული სათიბის ბალახი
ჩვენს თვალინი ცოცხლდება,
ხალისობს, იზრდება.
ქოხი ჯერჯერობით მყარად დგას და
უძლებს ქარისა და წვიმის შემოტევას —
შიგნით არ უშვებს გიუურ შხაპუნას.

მუხლებზე დამდგრები, ვხედავთ ვაზის მწკრივებს,
როგორ ჩამოსდის ლურჯ ზოლებად შაბიამანი
და აქოჩილი რუ ვენახში შემოსავარდნად
როგორ ძალაობს.

ვუსმენთ წვიმას!

ზოგჯერ გარეთ თავგაყილებს,
წვეთების ძაფები თმაში გვებლანდება,
გაცრეცილ სახეს მოგიახლოვებ.
მერე ხელისგულს ჩავაყილებ შენს თმას და წყალი
ჩამოურბენს ყელს და გულისპირს,
ხედავ, როდინდელმა წვიმამ დაგვიძახა?
არ გამიცივდე,
მოგეხვევი და მაგრად ჩაგიხუტებ:
— შენ ხომ ჩემი ბავშვობა ხარ!

სიცხითი ლექსი

უნდა გახსოვდეს, ჩვენს საშველად არავინ მოვა,
ვინც სატყუარა ძვალს გამოლრლიდა.

თქვენ ხართ თაობა განწირულთა.

უილბლო ხროვას

ხმას ვინ მოგაწვდენთ ან გაღმიდან ან გამოლმიდან.

ფოლიანტები იხსენები მათ სივერაგეს,
როგორ „უშველეს“ უწყინარ ტომებს.
ან მავთულხლართებს ვინ შეგვატყვა,
სპექტაკლებივით რომ დგამენ ომებს.

მათ დაარწიეს დღეს ახალი კერპის აკვანი —
ფულის მანქანას რომ ვცეთ თაყვანი.

ადარც ერთი გზა რომში აღარ მიდის,
და შენც ფეხსანმენდი ტილო ხარ.
დგახარ უნუგეშოდ გადაღლილი,
გიცვლიან ენას და კილოკავს.

ეკრანი, სერიალმა სიბილნის ტირაჟით
შენი მეტყველება წალეკა, წაბილნა,
რად გინდა წარსული, დღევანდელ მირაჟით
იცხოვრე — უარი ძვირფასს და საფიცარს.

ეჭ, „ადამიანი“
ადარ უდერს ამაყად,
დირიჟორს გიღალატა კამერტონმა.
ჩამოტყდა მზის ტოტი,
რა მოგდის?

ავად ხარ? —

თვალებში სიცივე ჩაბეტონდა.

როგორ დავიჯერეთ, ან ვინ მოგვაფიქრა
ჭიქა შხამს, მოვა და ვინმე ხელს აგვირავს.
პირიქით, გაქეზებს, მოგარგებს ალიკაპს:
— მეორეს მოუკიდე, პირველი ჩაგიქრა!

— გახსოვდეს-მეთქი, ჩვენს საშველად არავინ მოვა,
დამზვარ სულზე რომ სული შეგიბეროს.
ამ ქვეყნის შეილობა თუ ვერ შეიფერე,
უცხო და უმძრახი უნდა შეიფერო.

ხედავ, მერამდენედ გაქრა ქიმერა,
მარადიული მტერი გვიბერავს.

რა მომასვენებს, ვიდრე მყავხარ გადასარჩენი,
ვიდრე ახალი ინერება წიგნის სარჩევი.

უნდა ვუფრთხილდეთ ნაცად „შოუმენს“,
ვერც ბოლო შანსზე ვერ ვიტყვით უარს.
თორემ მენავე ხოფს თუ მოუსვამს,
ვეღარ ვთხოვთ უკან დაბრუნებას —
მენავე ყრუა!

ერთხელაც უნდა გაიბრძოლოთ, ძვლებო, ბებერო,
თორემ ბობიქარ წმინდა გრძნობებს მოედო ობი,
უქმად ჰკიდია კედელს ორი ნახევარსფერო,
ორი დედა-ღორის სათქველეფი გობი.

მორიგი ისტორიული ფურცელი სარაჯიშვილის ცხოვრებიდან



გივრის მნახველი და მომსწრეა შენობა, რომელშიც
დღეს მნერალთა სახლია განთავსებული და რომელიც
1905 წელს დავით სარაჯიშვილმა ააგო. მისი დაბადების
დღისადმი მიძღვნილი კვირეული ყოველ წელში იმა-
რთება მაჩაბლის 13-ში და დავით სარაჯიშვილისა და მისი
მეუღლის, ეკატერინე ფორაქიშვილის მრავალმხრივ მოღ-
ვანებისას და დაშასხურებას ასენებს საზოგადოებას.

ორი წლის წინათ სარაჯიშვილის დაბადებიდან 165
წლისთავი ფართით აღინიშნა, მოწყობა გამოფენა და გამა-
რთა სამეცნიერო კონფერენცია. შარშან გამართულ
ლონისძიებაზე სახელნოდებით „სარაჯიშვილის სტიპე-
დიანტები“, გახსენებს მისი ლაპანლი განათლების სფერო-
ში და ის ადამიანები — ცნობილი საზოგადო მოღაწეები,
მეცნიერები და ხელოვანები, რომელთა განათლებასა თუ
პროფესიულ წარმატებაში უდიდესი დამსახურება
სწორედ დავით სარაჯიშვილს მიუძღვის. გამოიფინა მათი
ფოტოსურათები, პირადი წივთები, ნამუშევრები. ექსპოზი-
ციაზე წარმოდგენილი იყო მასალა როგორც საოჯახო
კოლექციებიდან, ისე სამუშეულო ფონდებიდან. გაიმარ-
თა ლექციები და დისკუსიები.

წელს მნერალთა სახლმა მესამედ უმასპინძლა კვი-
რეულს. ამჯერად, ღონისძიების მთავარი თემა გახლდათ
სარაჯიშვილების იჯახის მიერ განხორციელებული და
განუხორციელებელი სამშენებლო პროექტები და XIX-XX
საუკუნეების გასაყარზე თბილისის ურბანიზაციაში შეტ-
ანილი წვლილი. დიდი ინტერესი გამოიწვია გამოფინვანი, რომელიც
საქართველოს ეროვნული არქივის ისტორიული ფონდის დაბადებით მოწყობა. დამთვალიერებელი
გაეცნო დავით სარაჯიშვილისა და მისი მეუღლის, ეკატ-
ერინე ფორაქიშვილის დაკვეთით შესრულებულ არქიტე-
ქტურულ პროექტებს. მათგან ნანილს ხორცი შეესხა, ნან-
ილი კი განუხორციელებელი დარჩა.

მნერალთა სახლის ორ დაბაზში გამოფენილი სამ-
შენებლივ პროექტებით ძველი თბილისი ევროპული იერ-
სახით ნამობინდა, დედაქალაქის არქიტექტურის ის-
ტორის ფურცელები გადაიშალა. სამუშავო, დავით
სარაჯიშვილისა და ეკატერინე ფორაქიშვილის ძალ-
ისძმევით აგებული შენობების უმეტ

2015 წლის 28 ოქტომბერს თბილისის საკრებულოს თამარ მეფის სახელმძის დარბაზში გოდერძი ჩოხელის სახელმძის ლიტერატურული კონკურსის (მინიატურის უანრში) — „ერთგულება“ — გამარჯვებულთა დაჯილდოება გაიმართა.

კონკურსის ორგანიზაციონი ფონდი „კულტურათა დიალოგი“. კონკურსი გაიმართა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პატრონაჟითა და თბილისის მუნიციპალიტეტის საკურებულოს მხარდაჭერით.

შიურის წევრები იყვნენ ფილოლოგის დოქტორები, პროფესორები, მწერლები: ამირან არაბული, მანანა კვაჭანტირაძე, მაკა ჯოხაძე.

სალამო გახსნა ამ კონკურსის სულისჩამდგმელმა და იდეის ავტორმა, მხატვარ-მა ირმა სანაძემ.

გოგა პიტინაშვილის ხელოვნების საყმანვილო ცენტრმა — „არტ-პოლი“ — წარმოადგინა გოგერძი ჩიხელის მინიატურების მიხედვით შექმნილი მონოსპექტაკლი.

მსახიობები ნანა შონია, დები ნანა და ლილი ხურითები კითხულობდნენ კონკურსში გამარჯვებულთა მინიატურებს.
საღამოს მუსიკალურად აფორმებდა თბილისის სახელმწიფო კამერული

ორკესტრი „საქართველოს სიმფონიუმა“.

ყოველივე ამის ფონზე ჯილდოვებრნენ გამარჯვებულ ექვსეულს საპატიო სიგელებით წიგნებითა და ფულადი პრემიებით.

პირველი პრემია წილად ხვდა ნინო ქადაგიძეს, მეორე — ბაჩინ კვირტიას, მესამე

— მარიამ ნიკლაურს, საუკეთესო ექსპეციულში მოხვედრის პატივი ერგოთ ნანა ჭილაძეს, ლანა მანველსა და ნინო სადღობელაშვილს.

— 28 ၣိုဒ္ဓမာရီ — ချေ ပုဂ္ဂန်၊ အရှင် ရွှေတော်၊ နှေ့သူလွှာပိုကြော် လုပ်နေဆိုပါ၊ အရှင်မျှ
ကာရွတ်လွှဲ မေးပါဒ်ဖြစ်လွှဲ စိတ်ပွဲပါဝါဆိုမှု မိမိလွှာပိုကြော်၊ မိမိ စာအာဇာပိုင်း နာမလွှာပိုကြော် မြတ်မှု
— ကြေးပါဒ်ဖြစ်လွှဲ၊ ဘုရားလွှာပိုကြော်၊ အောင်အောင် အောင်အောင် အောင်အောင် အောင်အောင်

ასეთი კი იმის შესახებაც, თუ რა შთაბეჭდილება დაგვიტოვა კონკურსმა უიურის წევრებს.

მეჩხერდება, ტბები, მდინარენის წყლებში ისევე სძირი რამით საყვარელი ქალაქი კართული ენა, მისი ძარღის ქადაგიდე



ლობს, არამედ თავისი წარმოსახვით, იდიო-
ოგებით, ტროპებით, მეტაფორებით ისევ
ასხივებს სითბოს, ისევ აფრქვევს სურნელს,
ისევ გააჩნია გემო, არომატი. ისევ მყარად,
ფეხდაფეხ მიჰყვება ჩვენს ფიქრებს, აზრებს,
განცდებს, ემოციებს, ისევ აღეჭვატურია,
ისევ ჰარმონიაშია მათთან. უცნაურადაა
დანამული, თბილი და ნოტიოა მისი უანგ-
ბადი, ზამთრისპირა ბუხარივით გვიკიდებს
ცეცხლს, თავისკენ გიზიდავს, გითრევს,
აუნტირისძის აპარატიაბს...

მეტ-ნაკლები სიძლიერით დაწერილ ამ მხატვრულ ტექსტებში სიმყარისა და იმე-დის მომგვრელი იყო ჩვენთვის ის ფაქტიც, რომ თითქოს მათ შეგრძნებებს, წარმოსახ-ვებს, ცხოვრებას არ შეხებია ზერელობის მაუწყებელი ტემპი და ყოველდღიურობის ამათ ფუსტფუსი. უმრავლესობამ პატიოსნად იშრომა, ვენახში გასული გლეხივით გაისარჯა, სიტყვაზე იფიქრა, იმუშავა. სიტყვით გამოხატადა სიტყვით გაუფრთხილ-და მარადიულ ლირებულებებს, უფროს-უმცროსობის ტრადიციულ ინსტიტუტს, ნინაპრების, მოხუცების, ბებია-ბაბუების სიცონას, სიყვარულს, ნუხილს თუ ტანჯ-ვას უნებლიერ ჩადენილი შეცდომებისა თუ ცოდვების გამო. დაბადების სიხარულსა თუ გარდაცვალების სევდას. ჩვილის გაჩენით მოვრილ აღმაფრენასა თუ მოხუცის სანთერლივით გალეული ცხოვრების აღსასრულს.

მათი კითხვის პროცესში ჩვენ ვხედავდით ლიტერატურის ამ უანგმა, მინიატურამ, გულის-გულში, უფრო ზუსტად, გასაოცრად ქართულ სიტყვა — დვრიტაში — მოძალირეობითა და სიტყვათა მინიმალური რაოდენობით როგორ დაიტოა ამბები, ფაბულები, შინაარსები, რომანის სივრცეებს რომ ეყოფოდა. ოდესლაც წაკითხული ინფორმაცია გამახსენდა — მეოცე საუკუნის დასაწყისი და პარიზში ჩატარებული კონკურსი — „ყველაზე მოკლე მოთხოვბა“: სამუდამოდ დამამახსოვრდა გამარჯვებული ქალაბატონის ტექსტი: „ვცვლი ქალის ახალთახალ ძვირფას საღამურს ბავშვის ძველ, ნახმარ ეტლზე“.

ღამის პერანგიდან ეტლამდე — ამ სივრცეში მთელი ცხოვრების ისტორიაა ჩატეული.

ზუსტი შეგრძნებები და ცხოვრებისეული ისტორიები ქართველი კონკურსანტების ტექსტებშიც იკითხებოდა. „ლიტერატურული გაზეთის“ მკითხველებს შესაძლებლობა აქვთ, ეს შთაბეჭდილებები გაიზიარონ.

პარმ კვირტია

ანგა

და მაგარების ბინაში, დადანახების გვერდი გვერდართ: მე, ჩემი ცოლი, ჩვენი შვილები — ორი ბიჭი, მათი ცოლები, მათი შვილები, პატარები; დედაჩემი და მამაჩემი, ორი პოლიციელი, რომლებიც დიდი გულმოყვავებით აცხებენ ოქმს და ნამდაუნუმ იქვე, სავარძელში მოკალათებულ და მომლიმარ კიდევ ერთ ადამიანს ღიმილნარევი თანაგრძნობით გახედავენ ხოლმე. ის კიდევ ერთი ადამიანი ბებიაჩემია. ბებიაჩენი. მამაჩემის დედა. 98 წლის მოყრილი. სულმთლად თეთრი, ქათქათა თმით, წარებითა და პირისახით. ზის ეგრე, ჩუმად, კმაყოფილი და ჯიბრიანი სახით. არავის უყურებს, დედაჩემის დაფარებული პლედი გვერდზე გადაუგდია. დროდადრო საკუთარ ხელებს დახედავს, მერთალად ჩაეღიმება და ისევ მიასტერებს მოწიურულ, თაფლისფერ თვალებს მოპირდაპირ კედელს. ფრჩხილები მიწით აქვს ამოგვეხული. თმა — ქარის, წვიმისა და დაუბანლობისგან გახეშეშებული და გაქუცული, გაწენილი. ქალბატონი რამდენი ხნის წინ დაიკარგა? — გვეკითხება უფროსი პოლიციელი. ერთი კვირის წინ, — პასუხობს დედაჩემი და ბებიაჩემს მწყრალად გახედავს. ავად რამდენი ხანია, რაც არის? — ახლა მეორე პოლიციელი ეკითხება მამაჩემს. — სკლეროზით? დიას. მამაჩემი დედაჩემს გადახედავს. მეხუთე

იმ დამით, თვალით უნახავი ბაბუა ვნახებ
სიზმარში. სერგი. ანეტას ქმარი. ჩემს და-
ბადებამდე კარგა ხნით ადრე გარდაცვ-
ლილი. გახარებული მეუბნებოდა, სული
მოვითქვი, თვალებში გამოვიხდეო.
სუნთქვა აღარ შემეძლოო. ახლა რაღა მი-
ჭირსო. ისეთი ბედნიერი იყო... მეორე დღეს
სოფლიდან ნათესავებმა დამირეებს, საყვე-
დურებით. რა გაწყენინეთ, სოფელში ჩამო-
სულხართ და უკან ისე წასულხართ, არავინ
გვინახულეთო. ვეუბნები გაკვირვებული,
ღმერთი, რჯული, არავინ ვყოფილვართ
სოფელში ბოლო ორი თვეება, რას გვსაყვე-
დურობთ-მეთქი?.. რას ქვია, არ ყოფილხ-
ართო?! — აქეთ შემომიტიეს, — სერგის
საფლავი აპა ვინ ინახულაო?!. წელამდე
ბალახით რომ იყო დაფარული, პირშმინდ-
ად არის გასუფთავებული, საფლავის ქვა
განმენილია და ირგვლივ ყველაფერი



მარიამ ნიკლაური

ଡାକ୍ତରିଗୁଡ଼ି ଶେରଙ୍ଗେଣ୍ଡି

ყოველ ჯერზე ა ახლიდან იწყებოდა
„შესაქმე“, საგულდაგულოდ აერთიანებდა
ხე და ქვა განსხვავებულ ამბებს. ახლიდან
ქმნიდა და ისეთი მონადინებით, თითქოს
ეს ბაგუნი ღვთის სუნთქვა ყოფილიყო და
ჰა, საცაა ქაოსიდან უნდა შობილიყო ახა-
ლი და უკცხო სიმართლე, არაფრის მსგავა-
სი. ქინძი აუცილებლად „აკალა“ უნდო-
და. მწვანე წვრილი სათესლე მარცვლებით
ეს დაკაკლული თავები უფრო მძაფრ სურ-
ნეოს ინახავდა თავის ჯულში, ვიდრე ქინ-

ნანა ჭილლაძე

၃၀၆

ଲୀ ତେତରୁୟୁଳୀସ, ଶ୍ୟାମ ଅରାଫରିସ, ଅରଚ କିଥୁ
ନୀସ, ଅରଚ ଓରାକୁଶିସ, ଅରଚ ବ୍ୟନାବୀସ ଆମିଲୀସ
ଅରଚ ଗାଦାଥେଲୀଲୀ ଶ୍ୟାମଗୁଣୀସ, ଯେ କୋ ଅରା
ଫା, ଦେବୀଏକ୍ଷେମି ହିଂସି ପାରଦେଶସାତ୍ କ୍ଷାରଗ୍ରୀ
ଦେଖିଲୁ ଶ୍ୟାମନେତ୍ରି ତିତକ୍ଷେତ୍ରି ମେରୀ ଯେ ସାମାଜିକ
ସାରତାବୀ ମିଳିଲି କ୍ଷିଲାଶି ଗାଦାଧରକାନ୍ଦ୍ରେଦେଖି
ଦା ଦା ଥେବୁ ଫୋଲିଗ୍ରା କ୍ଷେତ୍ରରେଦେଖି ମକ୍ଷିଦର୍ମନାନ୍ଦ
ମେରୀ କ୍ଷେତ୍ରରେ ଥେବୁ ହିଂସି ଦେଖିଲୁ ପରିମାଣିଲି ପରିମାଣ
ଦେଖିଲୁ, କିଥିରେ ନେଲ୍-ନେଲ୍ଲା ଉପରୁଜନ୍ଦେଖିଦେଖି
ଯୁଗେଲାଭ୍ୟାର୍ସ ତାଙ୍ଗିଲି ଗେମର. ଗେମରିଲାତାନ କ୍ଷେତ୍ର
ତାଫ ଦେଖିଲୁ ମହାଦେଵାଦିଶା: ମହାଦେବି, ବାଲାମିଲି ଯୁଗେ
ଲିଲି, କିନ୍ତୁକିଲି, ମହାଲାଲି, କ୍ଷାମାଲା, ମନ୍ଦବାନ
ଲାଲିଲି, କ୍ଷେତ୍ରାଶିନ୍ଦ୍ରବୀଲି, ଶ୍ୟାମନାଲ-ଗାଥେତ୍ର
ବୀଲି, ନୀଗନ୍ଦେବୀଲି, ଶ୍ୟାମନାର୍କ୍ଷୀଲି, ହିଂସାକ୍ଷେତ୍ରକୁଶ
ମୁଖାବେଦୀଲି ଶ୍ୟାମବୀଲି, ମାରିଲିଲି ଦା ଆଶାନିତି
ମାରାଗଶାତ୍ କୋ ପିତ୍ରନେତ୍ରି ଶ୍ୟାମପାତାରି ଶ୍ୟାମ
ନେଲୀତ. ଯୁଗେଲାଭ୍ୟାର୍ରି ତାଙ୍ଗିଲି ଅଧିକିଳିଥ
ଲାଗଦେଖିଦେଖିଦା. ଏହି ହିଂସାନାନ ଆଶ୍ରୀ ଯୁଗ
ପାରାଗେଶି, ଦେବୀଏକ୍ଷେମିଲି, ଶ୍ୟାମରୁଷିଲି ପ୍ରାଣକାନ୍ଦ୍ରି

კავიტიცის კანიურამი შუდგა ეილით ძგიობ
ბებოს სართავი ჯაბნიდა თუ არა ოკეანი
სურნელს, ამაზე ვერაფერს გეტყვით. აღ
ბათ ჯაბნიდა, რადგან სულ იყო და კვეთ
და გრძედებს და განედებს. თევზს და არაყ
საც ისევე უხდებოდა, როგორც მჭადს დ
ცოლიკაურს. ოკეანეშიც დაღანებდა იმ
ერეთითავისი კოპნია გემოთი. ამ მაცოცხე
ლებელ სურნელს და გემოს, მერე ველარ
სად გადავაგანყდი. დროც ჩაინაყა ადგილის
ქალაქის, ნივთის, მშვიდობის, სიხარულის
ადამიანის სურნელივით გაქრა ქვეყნ
ნიდან... სართავის სურნელზე ძალიან მწყ
დება გული - ყველაფრის ისეთივე გამ
აგემრიელებელი და გამაცოცხლებელი
როგორც თავად ჩეგნი ბებოები იყენებ
რომ იყვნენ და გაქრნენ...

ცომი არ ჩამიგდოთ” — გვიჯავრდებოლო
ბებია და უკვე გუნდებს აწყობდა ხონჩი
ბზე: „როცა გეტყვით, გამომიტანეთ ს
თონესთან. ძირს არ დაყაროთ, ფრთხ
ილად ნამოიღეთ”. ბებია თონეს ანავლექ
და, წყალმოპაკურებულ ნაცარს აყრიდ
ნალვერდალს. „ჯოჯოხეთში ასეთი სიცე
ეა?”, „ჰო, ალბათ, ჯოჯოხეთშიც ასე ცხე
ლა”. ბებია შეგვებრალა: ახლა სახით თი
ნეში უნდა ჩაყუდებულიყო და ჩვენითვი
პურები დაეცხო. ერთი კუტად ნაუკიდ
კუტი პური გემრიელია, ნახშირს მოაცლ
სულს შეუბერავ, ნაცარს მოწმენდ დ
დაბრანულ გვერდებს ჩაანაწენებ. ბებია
ამ კუტი ამოგვიდოს: „ყველი მიაყოლევა
კარაქიც ნაუსვით, ცხელ პურს კარაკ
ჩაადნება და შეგერგებათ, მოფერიანდე
ით, ლოყები ისე აგინითლდებათ, და
დათქვენი ველარ გიცნობთ”. ჩვენ ჩუმა

జ్యేశ్వర వ్యాసింగ్‌త క్షుట త్యాగం, నిదానికి వ్యాపిల్లాడైతప్పణిల్లాడైత. జ్యేశ్వర ఆర్ క్యాప్ట్రోబా. డాస్చున్చాగ్స్ లు ప్రభ్యాసిల్ లీప్చుయ్యేబు. „ఫామ్హి, జ్యేశ్వర, ప్రభ్యాసిల్ ప్యూర్ కార్మాఫ్యిచ్ ల్స్ స్వోయి, శేగుర్ గ్యేబా దా మంట్యేరొయి డ్రేబిం“ — వ్యెర్స్యూర్ ర్యూల్యేబింట; జ్యేశ్వర థేడాప్ అ ల్యూప్యూర్ గ్యేబు. „ప్రభ్యాసిల్ లీప్చుయ్యేబు బేబింసి: „న్యూ ల్యూర్నింట, టిక్కెల్ శేఫ్టామ్పెత“. „బేబిం, ప్యూరి హిమాచల్ క్రెప్చున్చె, రాసినొమిండ్ వ్యొల్పెశి జ్యోగ్యాంబెతిసి ల్లాగొశి మిండా హింగింబెడం. బేబిం శ్వాసిల్ దా వ్యేర మిండ్ ట్రేబుసి: „సాశ్ డాగ్యెల్ వ్యేబా!“...

სამზარეულოს დიდი კარადის უჯრედი
ში ბებიას განსაკუთრებული სურნელი
გამომწყვეფული: თხელი, სიფრიფანა ლა
ვაშებივით დაკეცილ ჭურჭლის ტილოები
ნაჭრის ხელსანმენდებსა და გვერდებას
ოქარგულ სუფრებს სამუდამოდ აწებდ
ბიათ. გახამძებულ ჩვრებში ხელს შევაცვ
რებ, თვალებს დაცხუჭავ და მგონია, რო
ბებიას ვეფერები. ის კი არ მიჩერდებ
გამირბის, ჩქარობს, პური მაქეს გამოსაც
ობიო. სად ეჩქარება?! ჩვენი თიხის თოხი
უკვე დიდი ხანია ჩაიქცა და ჩაიშალ
მიტოვებულ ეზოში.

ლანა მანველი

ଓଡ଼ିଆ
ମେଲା ପର୍ଯ୍ୟନ୍ତ

მთელი დღე მათბობდა და გულზე ტკი
ბილ ტვირთად მანვა სიზმარი. იმის მიუხედავად,
რომ ის დანარჩენ ჩემს შვილებს ა
ჰქონდა, მაინც ძალიან ჩემი იყო, ძვალ
რბილში რომ მივლიდა ისეთი ჩემი... მთელი
დღე გულით დამაქვს სიზმარი და მის
თბილი, თაფლის სფერი თვალები. მენატრა
ბა, მედარდება... გონება მებინდება, სულ
მინჯეს: — ეს ბავშვი სათავავ დავკარვა:

ბავშვი მე არ გავზარდე... ეს ბავშვი სიცოცხლეს გავარიდე... ეს ბავშვი მე სიკვდილისთვის გავიმეტე...

ნეტა არ გამიქრეს შენი სახება, პოლომდე მას სოვედე, ჟო, სულ ბოლომდე. შენც ჩემი სიცოცხლე ყოფილა არ შენი დებივით, რა ტკბილი და თბილი იყო შენი შემოხედვა დე... დედა მოგიკვდეს შვილო!!!

ნინო სადლობელაშვილი

ଓଡ଼ିଆରେ ଶଲ୍ଲାକା

გვერდზე ოთახში ურიამულია, დერე-
ფნებშიც და სამზარეულოშიც. მიდი-მოდი-
ან სტუმრები და არის ერთი მილოცვა და
გადაძახილი. ცოტა ხანში კარიც ილება და
შემოდის დღევანდელი დღის მთავარი გმი-
რი, უფრო სწორად — შემოყვათ მკლავებ-
ში ჩანვენილი, ვაზის ტრომასავით შეფუთ-
ნული, თეთრია აპრეშუმის ნიკებიდან სხ-
ივები ამოსდის, წვრილი, ბასრი სხივები და
მთელ სახლში ბროლის წვეთებად იმსხვრე-
ვა, მორბიან პატარასათან, კოცნიან აბრე-
შუმის რუშებში ჩაყურსულს და ხელიდან
ხელში გადადის, ასე — ხელისგულებით
მიაცილებენ კარგა ხნის გამზადებული,
მძივებით და ფერადი სათამაშოებით მორ-
თული პანაწინა სადედოფლო სანოლისაკ-
ენ. — გოგო ანა! გოგო ანა! გაიზარდე და
გამრავლდი! — ისმის აქ, ჩვენს ოთახშიც.
ჩვენ ორნი ვართ. ის ჩემს გვერდით ნეეს,
უფრო სწორად, მე ვზივარ მის თავთან.
თვითონ მოისურვა ასე. განუყრელები
ვიყავით ყოველთვის, ზამთარი იყო თუ
ზაფხული, მე ვამშვენებდი მის თავს, ჩემი
შინდისფერი ხავერდი და კიდეებზე მსუბ-
უქად დაშვებული აბრეშუმის რიცე, მის
სახეს ბრონეულოვით აელვარებდა. მე მის-
თვის თვითგამოხატვა ვარ. ერთხელ სწო-
რედ ასე თქვა. არავითარი ნივთი. არამედ
ეს გრძელი და უცნაური სიტყვა. ის კი წევს
და მეც რახანია უქმად ვარ. კვდება ჩემი
ცხოვრების ქალი. სანთლისფერია და ფო-
თლის ლერივით გალეული. ვიღაც შემოდის
ოთახში, მორიგი სტუმარი. ფრთხილად
ეხება ხელზე, მკვდარი მატლებივით ამომ-
სხდარ ძალვებზე. — გილოცავთ, ანა ბე-
ბო! ბედნიერი ქალი ხართ, შვილთაშვილს
მოესწარით! იღიმება ჩემი პატრონი. და-
ჟინებით გუცურებდა მინდა დავიმახსოვრო
მისი სახე, თვალები, თმა, ყველაფერი. მინ-
და ასეთიც დაგიმახსოვრო — უსაზღვროდ
ბედნიერი და ნალელიანი. ბუტბუტებს რა-
ღაცას, მგონი ვიღაცას ეხვეწება, რომ ჯერ
არ წაიყვანოს. კარი ისევ ხმაურით ილება
და შემორბის შვილიშვილი, გოგო ანას მა-
მიდა, ბებოსთან იხრება, შუბლზე კოცნის
და, უცებ:

— ბები, ამ ქუდს წავიღებ რაა, ანას
უნდა დავახუროთ, ფოტოები გადავულოთ,
თან, ბედნიერი ქუდია, შენი წყალობით და,
დავაბედებთ! წამომავლებს ხელს და მი-
მაქანებს სხვა ოთახისენ. სხვა თავისენ.
სხვა სამყაროსკენ. უსასრულოა ეს გზა —
ბებოს ოთახიდან გოგო ანას ოთახამდე.
უსასრულო და საშიში. ცახცახებს ჩემი
გამჭვირვალე აბრეშუმის რიცე და ამ ცახ-
ცახში კიდევ უფრო ვემსგაცესები ჩემს პა-
ტრონს, რომელიც წევს თავის ოთახში,
ფანჯრიდან არეკლილ სხივზე მითვლე-
მილი და ვიღაცას ეხვეწება, რომ ცოტა
ხნით კიდევ დატოვოს...



მაინტერესებს, რას გულისხმობდით სირთულეში? ტე-
ქნიკურ თუ ენობრივ მხარეს?

— საქმე ის არის, რომ ვერ გეტყვით, ზოგადად, რომელი ნაწარმოებია სათარგმნელად მარტივი. მგონი, არც ერთი. უბრალოდ, ხან თავისუფლად „მიდის“ სამუშაო, ხანაც სირთულეების გადაღალხვა გინევს. ამასთან, გარდა ტექნიკური მხარისა, კველას თავისი ენა, თავისი სტილი აქვს. თუ არ დაინახე, არ იგრძენი, არ გაითავისე, თუ არ შეძვერა, როგორც ამბობენ, ავტორის ტყავში, არაფერი გამოვა. მთარგმნელის საქმე სწორედ ეს არის: უნდა შეძვრე მნერლის ტყავში და ისე გაიარ-გამოიარო. თუ ეს ვერ შეძლი, თარგმანი არ გამოგიყა.

— ესე იგი, თანავტორობა ძალიან მნიშვნელოვანია?

— ძალიან მნიშვნელოვანია. სხვანაირად მხატვრულ ნაწარმოებს სრულფასოვნად ვერ თარგმნი. მეტ-ნაკლებად გამიმართლა, ისევე, როგორც სხვა მთარგმნელებს, იმიტომ, რომ ყველა გამომცემლობა ცდილობს, საუკეთესო ნაწარმოები თარგმნოს და გამოსცეს. შესაბამისად, მთარგმნელებს არაჩვეულებრივ ლიტერატურაზე მუშაობა გვინებს.

იმ წევნებზე აღარაფერს ვამბობ, ზემოთ რომ ვი-
საუბრე. უბრალოდ, გავიხსენებ კიდევ ერთ წიგნს — 2008
წელს „ქართული ბიოგრაფიული ცენტრის“ მიერ შემოთ-
ავაზებულ დოკუმენტური პროზის შესანიშნავ ნიმუშს,
რომელიც მანამდე წაკითხული მქონდა და ძალიან მინდ-
ოდა, მეთარგმნა. ეს გახლავთ მაჲათმა განდის, „ჩემი ავ-
ტობილოგრაფია, ანუ ჭეშმარიტების გზა“. გამოვიდა სერი-
ით „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო“.

— როგორც ვიცი, წიგნის ქართულიდან ინგლი-
სურად თარგმნაზეც გიმუშავიათ.

— წიგნს ჰქვია „დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება და მოლვანეობა“, ის ორენოვანი, სელტანიანი გამოცემაა და ბიოგრაფიას, ნერილებს, ცხოვრებისა და მოლვანეობის ამსახველ ფოტოალბომს მოიცავს. დაიბეჭდა 2009 წელს. პროექტზე, ჩემ გარდა, დიდი შემოქმედებითი ჯგუფი მუშაობდა, ინგლისური ნაწილის რედაქტორი არიანე ჭანტურია გახლდათ. ალბათ დამეტანხმებით, რომ დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება სკოლაში ზედაპირულად გვასწავლეს, ცოტა რა ამ ვიცოდით მისი ღვანწლის შესახებ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, საადგილმამულო ბანკში, ქართული თეატრის დაარსების საქმეში, გარდა ამისა, შექსპირის „რომეო და ჯულიეტას“ ყიფიანის თარგმანით ვიცნობდით, მაგრამ როცა დავიწყე მუშაობა თარგმანზე, აღმოჩნდა, რომ არაფერი მცოდნია ჩვენს უახლეს ისტორიასა და თავდადებულ ქართველებზე, რომლებიც ქართული ენის, ეკლესიის, კულტურის — ეროვნული თვითშეგნებისა და თვითმყოფადობის გადარჩენისათვის იღვნოდნენ და თავს სწირავდნენ.

— გამომცემლობები თარგმნილი უცხოენოვანი
ლიტერატურის ფართო არჩევანს სთავაზობს მკითხვ-
ელს. ძალიან მნიშვნელოვანია, ქართული ლიტერატურ-
ის თარგმნაც რომ ინტენსიურად მიმდინარეობს. ამ
მხრივ, მართლაც, დიდი სამუშაოა განვიტლი.

— როგორმც მთარგმნელი და ცედავოგზ, ორიოდ სიტყვას ვიტყვი, ზოგადად, ამ სფეროს მიმართ ჩემს დამოკიდებულებაზე. ყველას გვახსოვს, როგორ უჭირდა გასული საუკუნის 90-იან წლებში საგამომცემლო საქმეს. ფაქტობრივად, აღარ ასესპობდა შესაბამისი ინფრასტრუქტურა და არც სახელმწიფო გამომცემლობები. რამდენადც ვიცი, ბაკურ სულაკაურმა, თამარ ლებანიძემ და გია ქარჩხაძემ ჯერ ერთად დანწყეს ამ მიმართულებით მუშაობა, შემდეგ ცალ-ცალკე გარიგებს და თანდათან, დიდი შრომის ფასად განავითარეს ეს საქმე, სხვებიც შეუერთდნენ და შეიქმნა დასავლური ტიპის საგამომცემლო სფერო, გამოიცა თანამედროვე და კლასიკური მწერლობის საუკეთესო ნიმუშები, განხორციელდა მრავალი პროექტი, ზღვა ლიტერატურა ითარგმნა ქართულად. ამას იმიტომ ვამბობ, არ მომწონს ოფიციალური სტრუქტურების დამოკიდებულება, თითქლს გამომცემლობები ავტორების ხარჯზე მდიდრდებოდნენ. პირიქით, ავტორებიცა და მთარგმნელებიც ძალიან ბედნიერები არიან, როცა მათ უკავშირდება გამომცემელი და სთავაზობს თანამშრომლობას. რაც უფრო მდიდარია გამომცემლობა, მით უკეთესია ჩენენთვის, რადგან განეული სამუშაოს შესაფერის ანაზღაურებას ვიღებთ. განვითარებული საგამომცემლო საქმე და მაღალი ხარისხის თარგმანები კი პირდაპირ კავშირშია საგნმანათლებლო სფეროსთან, წიგნიერებასთან. განათლებისთვის ამაზე უკეთესი, უკანასკნელ წლებში, არაფერი გაკეთებულა, შედეგი ასკარა — ახალგაზრდები წიგნებს კითხულობენ, ეს შემიძლია დაბეჭითებით ვთქვა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გასწავლი და 120-მდე სტუდენტს ვხვდები ყოველწლიურად, ისინი გატაცებით საუბრობენ საყვარელ ავტორებზე, იცნობენ საგამომცემლო სიახლეებს და ხშირად მეკითხებიან აზრს ამათუ იმ ახალ გამოცემაზე. ეს მახარებს და დიდი სურვილი მაქეს, არ შენელდეს პროცესი, არ დაიჩაგრონ გამომცემლობები. განსაკუთრებით ვწუხვარ „დიოგენეს“ პრობლემების გამო, იმიტომ, რომ ბევრი რამ მაკავშირებს მასთან, სხვებსაც ადგათ გასაჭირი, ამიტომ ყველას მოღონიერებას აღინიშნება.

— პრემია „საბას“ ლაურეატი ბრძანდებით. რას გვატვით ამ კონკურსზე?

გვერდულით ამ კონცერნის ფინანსურული მიზანი — მიხარია, „საბა“ ორმა არსებობს, დაარსების დღი-დან მისი დიდი გულშემატკიცვარი ვარ, რადგან მიმაჩინა, რომ ასეთი კონკურსები დიდი სტიმულია მთარგმნელების, მწერლების, პოეტების სისტემის — ყველა იმ ადამიანის სისტემის, ვინც ლიტერატურაში საქმიანობს. „საბასაც“ გაძლიერებას, გამდიდრებასა და ნომინაციების სიმრავლეს უსურვებს.


ნინო სიხარულიძე

* * *

უსიყვარულოდ ვწერ სიყვარულზე,
უიმედობის იმედს ვიგონებ,
უცეცხლო ბუხარს მიიფიცხებული,
უთოვლო ზამთარს მივასტრიქონებ
და ულექსობის ლექსი გამომდის,
(მარტო რითმები რას უშველიდა!)
კვლავ უდღეური დღე მითებდება,
ამოხრინნული მამლის ყელიდან.

ჩემი ეგზისტენციალიზა

დღო კი არ გადის, მე გავდივარ ამ თამაშიდან
(და არც არავინ მახეეს კალთებს, ჩვენთან დარჩიო) —
გავდივარ, რადგან ყოველდღიურ ნაყარნუყარში
ამაოდ ვცდილობ, რამე ნალდი გამოვარჩიო.
ამაოდ ვწვალობ, წყლის ნაყვაა ჩემი მცდელობა,
ამასობაში დაოთხილი გარბიან წლები,
ვხედავ თებერვალს, „შეშლილივით რომ კვდება ბალში“
და მთვარის შუქზე შეშლილივით ვესაუბრები —
ნეტა, თუ ესმის, ეს სიტყვებიც ისე ტლანქია,
მძიმეა, როგორც უმაქნისა რიყის ლოდები,
მაგრამ რადგანაც სხვა სიტყვები არ გამაჩნია,
მე ჩემსას ვყვები და მის პასუხს არც ველოდები.
მე მაინც ვყვები, რომ სამყარო თავზე მემხობა,
რომ არაფერი ალარ დარჩა ქვეყნად მართალი,
მყიფე ყოფილა, თურმე, რაც კი მყარი მეგონა,
სხვისა ყოფილა, თურმე, რაც კი ჩემად ჩავთვალე.
ვყვები, რომ ვერსად მიპოვნია ნავსაყუდელი,
რომ ყველა ფიცი გადაიქცა საპნის ბუტებად
და როცა ქუჩას მოეფინენ ბრბოს გასახარად,
სულ დაიტაცეს სატყუარა — სიტყვის მუშტრება.
ამასობაში თებერვალმაც სულა დალია,
ამასობაში დაოთხილი გარბიან წლები,
დრო კი არ გადის, მე გავდივარ ამ თამაშიდან
და სტრიქონიდან გამოქვეულ წერტილად ვრჩჩიბი.





დასასრული

საინტერესო ისტორია აქვს, ასევე, დავით სარაჯიშვილის დაკვეთით აგებულ სახლს სასახლის ქუჩაზე. ისიც ალბერტ ზალცმანის მიერ, 1880 წელს შესრულებული პროექტით აშენდა. 1883 წელს შენობაში გაიხსნა სასტუმრო „ევროპეისკიე ნომერა“, 1890-დან სასტუმროს დაერქვა „დვორცული ნომერა“, 1910 წლიდან კი — „ერმიტაჟი“. იქ ერთ ხანს განთავსებული იყო „ქართველთა შორის ნერა-კითხვის გამაცემულებელი საზოგადოებაც“, იმართებოდა სალონური შეხვედრები და საღამოები. შენობა საბჭოთა წლებში დაანგრიეს.

გამოფენაზე ნარმოდგენილ მასალებს შორის იყო ეკატერინე ფორაქიშვილის დაკვეთით ცნობილი არქიტექტორის, ალექსანდრე ოზეროვის მიერ 1913 წელს შესრულებული პროექტი, რომლითაც კახეთის ქუჩის ორ ნომერში აიგო სამსართულანი სახლი. დღეს მის ადგილას ავლაბრის მოედნის სკვერია.

გამოფენა საზოგადოებას წარუდგინა „თბილისის ჰამქრის“ წევრმა, პროფესორმა ცირა ელისაშვილმა: „დიდი მადლობა მწერალთა სახლს იმ კვირეულებისთვის, რომელსაც ყოველწლიურად დავით სარაჯიშვილის ხსოვნის პატივსაცემად მართავს. წელს მთავარი თემა არქიტექტურის ხაზი გახსავთ, დამთვალიერებულს ვთავაზობით საარქივო ფონდებში გამოვლენილ პროექტებს. ფაქტობრივად, არსებობდა ორი შენობა, რომელთა შესახებ ყველაგა ვიცით, რომ სარაჯიშვილის დაკვეთით აშენდა. ერთ-ერთია ის სახლი, რომელშიც ჩვენ ახლა ვიმყოფებით, მეორე კი სასახლის ქუჩაზე მდებარეობდა და ძალიან საინტერესო ისტორია პქრნდა... წარმოდგენილ მსალებში არის ასევე პროექტი, რომელიც ეკუთვნის დავით სარაჯიშვილის, ოდონდ არა ჩვენთვის ცნობილ მენარემს.“



და მეცნატს, არამედ მის პაპას. დასადგენია, 1843 წელს შესრულებული პროექტი განხორციელდა თუ არა. იმდენად დიდია სარაჯიშვილის დამისახურება როგორც განათლების, ისე კულტურის, ეკონომიკისა და სხვა სფეროებში, რომ ამ თემამ, შესაძლოა, ბევრი ვერაფერი შემატოს მოღვაწის სახელს, თუმცა უდავოდ იქნება ერთი-ერთი საინტერესო ფურცელი მისი ბიოგრაფიისა“.

კვირეული მწერალთა სახლის დირექტორმა ნატა ლომოურმა გახსანა. მისასალმებელ სიტყვაში მან მწერალთა სახლში აქტიურად მიმდინარე კულტურულ ცხოვრებაზე, განხორციელებულ და განსახორციელებულ სარესტაურაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებსა და ახალ ინიციატივებზე ისაუბრა: „ყოველ წელს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში შეგვაძეს პროექტი „დაგვით სარაჯიშვილის სტიპენდიანტები“, ვგულისხმობ, ჩვენ მიერ შერჩეული ახალგაზრდა ავტორებისთვის 6-თვის სტიპენდიის გამოყოფას, მათვის შესაბამისი სამუშაო პირობების შექმნას, რაც, მწერლებისთვის ერთგვარი მოტივაცია იქნებოდა და ლიტერატურული პროცესების განვითარებას შეუწყობდა ხელს. ჯერჯერობით, პროექტს გამოხმაურება არ მოჰყოლია, თუმცა, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ჩვენ მცდე-



კვირეული, ალბათ, დიდხანს ემახსოვრებათ უფროს სელას ელექტრის გამო, ცირა ელისაშვილმა კვირეულის ფარგლებში საგანგებოდ მათთვის რომ წაიკითხა, ინტერესი მართლაც დიდი იყო, ახალგაზრდებმა დავით სარაჯიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ბევრი რამ შეიტყვეს.

იმდენა, მომავალ წელს მწერალთა სახლი მეტი სიახლითა და წარმატებით შეხვდება დავით სარაჯიშვილის დაბადების დღეს და არანაკლებ საინტერესო გამოფენასა და ღონისძიებებს შესთავაზებს საზოგადოებას. გამოსაკვლევი, აღმოსაჩინი და მოსახლეობის ჯერ კიდევ ბევრია. დიდი ადამიანების დაცვის წინაშე დრო რომ უძლურია, ადასტურებს ზაქარია ჭიჭინაძის სიტყვები, რომლებიც თითქოს დღეს დაინტერესო: „გავლიან დღენი, თვენი, წელი, საუკუნენ და დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის ხსნებას ქართველთ განახლების ისტორიიდამ ვერავინ ამოშლის, ვერავინ ამოფენებას, მას ყოველთვის საპატიო ადგილი ექნება დატოვებული და შთამომავლობას გადასცემს მის ხსოვნას, ვინაიდან, მისგან გაზრდილის და განათლებულის ქართველთ შევლებით და შედეგი გამოიღო — პირველი სპონსორი გამოგვიჩნდა, ეს გახლავთ, „საქართველოს ბანკი“, რომლის ფინანსური მხარდაჭერით სრულად მომზადდება რეზიდენციის პირველი ოთახი. იმედი მაქვს, „საქართველოს ბანკის“ ამ წამოწყებას ბიზნესსექტორი გამოხმაურება და აიტაცებს, ვინაიდან ეს სახლი გახლავთ საუკეთესო ადგილი, სადაც შეიძლება, ქართულმა ქველმოქმედებამ გამაღლებიდან გამომდინარე, დავით სარაჯიშვილის მობილური კურსის გამოსახულის ფრთხის“.

დავით სარაჯიშვილისადმი მიძღვნილი კვირეული კომპანია „სარაჯიშვილისა“ და „ბადაგონის“ მხარდაჭერით გაიმართა.

მოამზადა თამარ ჟურნალი



ლიტერატურული გაზეთი

საქართველოს კულტურისა და ძაღლთა დაცვის სამინისტრო

საქართველოს მერალთა სახლი

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
უურნალისტი თამარ ჟურნალი

მობ.ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940

